სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 იანვარი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/05

ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, აკადემიური საბჭოს რეგლამენტის და 2024 წლის 22 იანვრის №06-02/01 სხდომის ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ,,ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა“ წინამდებარე დადგენილების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ,,ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/95 დადგენილება.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. დადგენილება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
5. **დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.**
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის
№06-01/05 დადგენილების
დანართი 1.

ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“) ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის (შემდეგში - „ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა“) შემუშავების საფუძველია საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, უსდ-ს ავტორიზაციისა და საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანები, უნივერსიტეტის წესდება, მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტები, ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები, ინსტრუმენტები და სხვა.

2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის, როგორც საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტის, განუხრელი განვითარება ბსუ-ს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ემსახურება უნივერსიტეტის ინტეგრირების ხელშეწყობას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცესთან, გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ადგილის დამკვიდრებას, ცნობადობის ზრდას, საერთაშორისო საგანმანათლებლო აკადემიურ სივრცეში ჩართულობას, საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებსა და საუნივერსიტეტო ქსელებში გაერთიანებას, კულტურათაშორის დიალოგს, გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას, ინტერნაციონალიზაციის გზით სწავლა/სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლების საფუძველზე.

3. ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა შექმნილია, როგორც ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის დამხმარე დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ბსუ-ს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტურად და თანმიმდევრულად გატარებას; უნივერსიტეტის ინსტიტუციური ფუნქციონირების პროცესში საერთაშორისო, ინტერკულტურული და გლობალური განზომილების შემოტანას.

4. ინტერნაციონალიზაცია ბსუ-ს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, რაც ასახულია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმაში, რომელიც:

ა) ეფუძნება დინამიკურობის, გამჭვირვალეობის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს;

ბ) მოიცავს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესს;

გ) ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ან/და პროექტების შემუშავება/განვითარება/განხორციელებას, საერთაშორისო კვლევებში ჩართულობას და მხარდაჭერას, შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებას და სხვ.;

დ) მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების მიდგომებთან, კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრასთან და შემოქმედებით პრაქტიკასთან დაკავშირებით, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, პერსპექტივების ჩამოყალიბებას, დასახული ამოცანების შესრულების გზების მოძიებას და სხვ.;

ე) ითვალისწინებს სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის ჩართულობას ინტერნაციონალიზაციის პროცესში;

ვ) უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის შედეგების უნივერსიტეტის საქმიანობაში ეფექტურად გამოყენებას.

5. ინტერნაციონალიზაცია უნდა იქნეს გაგებული, როგორც სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ხარისხის განვითარების ეფექტური ინსტრუმენტი.

მუხლი 2. პასუხისმგებელი ერთეულები/პირები

1. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავებასა და ამოქმედებაზე პასუხისმგებელია, უპირველეს ყოვლისა, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, ასევე სამეცნიერო კვლევების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილეები, ფაკულტეტის დეკანები.

2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავებასა და ამოქმედებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების საქმიანობა წარიმართება ბსუ-ს სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე პოლიტიკის გათვალისწინებით, ურთიერთთანამშრომლობის, გამჭვირვალობის, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელების მიზნით, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებთან, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან და დაინტერესებულ მხარეებთან.

მუხლი 3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნები

ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მთავარი მიზანია უნივერსიტეტი იყოს ევროპული ღირებულებების, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო და **კვლევითი ცენტრი:**

ა) რომელსაც ექნება მაღალი საერთაშორისო ცნობადობა;

ბ) რომლის სტუდენტები, პროფესორები და მკვლევრები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში;

გ) რომელიც განახორციელებს (ჩართული იქნება) ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა და შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელებაში;

დ) სადაც განხორციელდება (ხელს შეუწყობს) მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია;

ე) რომელიც გაერთიანდება საერთაშორისო საუნივერსიტეტო და პროფესიულ ასოციაციებში გაერთიანება;

ვ) რომელსაც ექნება აქტიური თანამშრომლობა უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან.

მუხლი 4. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ამოცანები და მათი გადაჭრის გზები

1. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ამოცანაა უნივერსიტეტი განვითარდეს გამორჩეულ ინსტიტუციად, საზოგადოების მოთხოვნებზე მორგებული ინოვაციებით, ინტერდისციპლინური და ტრანსდისციპლინური კვლევებით.

2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ამოცანების გადაჭრის გზებია და **უნდა** განხორციელდეს შემდეგი აქტივობები/ღონისძიებები:

ა) Erasmus+ საერთაშორისო მობილობის პროგრამის (ICM - International Credit Mobility) ფარგლებში, გაფორმდეს შესაბამისი შეთანხმებები პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციის პერსონალის გაცვლითი პროგრამების თაობაზე;

ბ) პარტნიორ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან პირდაპირი ორმხრივი შეთანხმებების ფარგლებში, განხორციელდეს ერთობლივი პროექტები სწავლა/სწავლებისა და კვლევის სფეროებში, ასევე სტუდენტთა და პერსონალთა გაცვლითი პროგრამები, ერთობლივი კვლევები;

გ) კვლევითი პროგრამების პოპულარიზაცია და უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის საერთაშორისო კვლევითი საგრანტო პროგრამების შესაძლებლობებისა და უპირატესობების გაცნობა და პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა; საერთაშორისო საგრანტო პროექტების ფარგლებში, მიმართულებების მიხედვით, საერთაშორისო სამეცნიერო კლასტერებში ჩართვა; საბიბლიოთეკო ქსელებსა და კონსორციუმებში უნივერსიტეტის გაერთიანების და უცხოენოვან სამეცნიერო ნაშრომთა ბაზებზე წვდომის ხელშეწყობა;

ზ) ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულებში, ინტერნაციონალიზაციის, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების, უნივერსიტეტის რეკლამირებისა და ცნობადობის გაზრდის, საერთაშორისო მობილობის (Erasmus+ ან სხვ.) ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით;

თ) უცხოეთის საგანმანთლებლო და სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა - საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის **მემორანდუმების გაფორმება** და ამ მემორანდუმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;

ი) ბსუ-ს მიერ საერთაშორისო ფორუმებისა, კონფერენციების, კონგრესების, სემინარებისა და საზაფხულო სკოლების ორგანიზება და მათში სტუდენტების, მკვლევრების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, უცხოელი ექსპერტების მონაწილეობა;

კ) უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა - უცხოელი აკადემიური პერსონალის ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო დიალოგის გაღრმავებას, ცნობადობის ზრდას და პროფესიულ განვითარებას;

ლ) ქვეყნის გარეთ ორგანიზებულ სამეცნიერო ღონისძიებებსა და საზაფხულო სკოლებში სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა;

მ) საერთაშორისო სტუდენტური კონტინგენტის გაზრდა სხვადასხვა ქვეყნიდან. უცხოელი სტუდენტების რეკრუტირების პროცესის და მობილობაში მონაწილე სტუდენტების ხელშეწყობა; უცხოელი სტუდენტების ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებში მოზიდვის სტრატეგიის მექანიზმების განვითარება:;'

ნ) განათლების საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა (პერიოდულად/რეგულარულად); უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების მიზნით; საერთაშორისო საინფორმაციო და მარკეტინგული კამპანიების განხორციელება (ადმინისტრაციასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად);

ო) საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნათა იდენტიფიცირება და შესაბამისი უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;

პ) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურების გაწერა, რაც ითვალისწინებს პროგრამის შინაარსის გამოკვეთას და პარტნიორების შერჩევას; ეფუძნება პარტნიორი უნივერსიტეტების საერთო ინტერესს, ერთობლივ ინიციატივას და პროგრამის განმახორციელებელ სუბიექტებს შორის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში პასუხისმგებლობების და ვალდებულებების მკაფიოდ განსაზღვრას; მიზნად ისახავს აღიარების ლისაბონის კონვენციის რეკომენდაციების გათვალისწინებით ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებას;

ჟ) სტუდენტთა მხარდაჭერის მრავალფეროვანი სერვისების, მულტიკულტუული გარემოს შექმნა, კულტურული ინტეგრაციის ღონისძიებების გატარება; ექსტრაკურიკულარული აქტივობების განხორციელება;

რ) საერთაშორისო გაცვლითი და სხვა პროგრამების კურსდამთავრებულთა ასოციაციის (alumni) შექმნა, მათი აქტიური ჩართვა უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებაში;

ს) საერთაშორისო საუნივერსიტეტო და კვლევით ქსელებში ჩართულობა;

ტ) პერსონალის წახალისება საერთაშორისო სწავლა/სწავლებისა და კვლევით პროექტებში ჩართულობისთვის; საერთაშორისო მაღალრეიტინგულ გამოცემებში პუბლიკაციების განხორციელებისათვის;

უ) ინფორმაციის მოპოვება და სისტემატურად გაცნობა სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის უცხოეთში სწავლისა და კვლევის შესაძლებლობების შესახებ; სხვადასხვა უნივერსიტეტის, კვლევითი ცენტრისა და საერთაშორისო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსების შესახებ.

ფ) ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციონალიზაციისთვის, საქართველოში მოქმედ უცხოური ქვეყნებს საელჩოებთან, დიპლომატიურ კორპუსთან, უცხოურ ორგანიზაციებთან და ფონდებთან თანამშრომლობის გაძლიერება, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა;

ქ) საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირება ბსუ-ში დადგენილი რეგულაციის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს კონკურსის გამჭვირვალობას (საკონკურსო პირობების, პროცედურებისა და ვადების შესახებ ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.bsu.edu.ge განთავსებით);

ღ) სხვა აქტივობები/ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის წინამდებარე პოლიტიკის ეფექტურ აღსრულებას.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის წინამდებარე პოლიტიკით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ვინაობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

2. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილებისა და დამატების შეტანა შესაძლებელია აკადემიური საბჭოს დადგენილებით.